საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 222 2019 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 22 ივლისის №644 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 22 ივლისის №644 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) საქართველოს მხარის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მაია ცქიტიშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ვიცე-პრემიერი – კომისიის თანათავმჯდომარე;

ირაკლი ქარსელაძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

მზია გიორგობიანი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

ლაშა დარსალია – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

გენადი არველაძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

მიხეილ გიორგაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის წევრი;

ხატია წილოსანი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

მარინა დარახველიძე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

გიორგი საგანელიძე – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში – კომისიის წევრი;

თეიმურაზ ჯანჯალია – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი – კომისიის წევრი;

ეკა ყუბუსიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით შარიქაძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

ნანა შავიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვაჭრობის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მეზობელი ქვეყნებისა და რეგიონის სხვა ქვეყნების სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი;

ერეკლე კეჟერაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი;

ვახტანგ კურცხალია – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

კახაბერ ჩიქოვანი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის პირველი მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი – კომისიის წევრი;

ლევან მაჭავარიანი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი – კომისიის წევრი;

ნინო ჩიქოვანი – სსიპ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი – კომისიის წევრი;

დავით საგანელიძე – სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი – კომისიის წევრი;

გენადი ლებანიძე – სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

დავით კალატოზიშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.“.

მამუკა ბახტაძე